# საქართველო და შეერთებული შტატები

## დიპლომატიური ურთიერთობის ისტორია

# GEORGIA AND UNITED STATES

## A HISTORY OF DIPLOMATIC RELATIONS

წიგნი მომზადდა საქართველოში შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

The book was prepared with the financial support of the U.S. Embassy to Georgia.

რედაქტორ-შემდგენელი: **სოფიო ჯობავა**
ინგლისური ტექსტის რედაქტორი: **რაიან შერმანი**
წიგნზე მუშაობდნენ: **ქეთევან კობიაშვილი, ვალერი ლევჩენკო, ქეთევან სადაგიშვილი, ნიკოლოზ სეფიაშვილი, ლიანა სონღულაშვილი, ხატია ქინქლაძე, თეა ქიმერიძე, მაია ქირია, რაიან შერმანი, ლევან ძინძიბაძე, ანანო ხორავა, მარიამ ჯანიკაშვილი**
დიზაინერ-დამკაბადონებელი: **მაკა ცომაია**

Editor/Compiler: **Sophio Jobava**
English text editor: **Ryan Sherman**
Edition assistants: **Levan Dzindzibadze, Mariam Janikashvili, Khatia Kinkladze, Tea Kimeridze, Maia Kiria, Ketevan Kobiashvili, Anano Khorava, Valeri Levchenko, Ketevan Sadagishvili, Nikolozi Sepiashvili, Ryan Sherman, Liana Songhulashvili**
Layout Designer: **Maka Tsomaia**

ალბომში გამოყენებული მასალა დაცულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივში“, აშშ-ის საელჩოში საქართველოში, საქართველოს საელჩოში აშშ-ში, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდში, Associated Press-ში, ჰუვერის ინსტიტუტსა და კერძო კოლექციებში.

Material used in the album are preserved in the LEPL National Archives of the Ministry of Justice of Georgia, U.S. Embassy to Georgia, Georgian Embassy to U.S., The Levan Mikeladze Foundation, Associated Press, Hoover Institution and private collections.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო Ministry of Justice of Georgia

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE PRINTING HOUSE

© ყველა უფლება დაცულია
All rights reserved

თბილისი / 2022 / TBILISI

ISBN 978-9941-8-5000-4

# შესავალი

# PREFACE

მას შემდეგ, რაც 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა, თანამედროვე და დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად და ევროატლანტიკურ ოჯახში ინტეგრაციისთვის ქართველმა ხალხმა უამრავი გამოწვევა გადალახა. ამ პერიოდში შეერთებული შტატები საქართველოს ურყევი და საიმედო მხარდამჭერი იყო. თუმცა ჩვენი საერთო დიპლომატიური ისტორია ბევრად ადრე დაიწყო, მაშინ როდესაც 1886 წელს ბათუმში აშშ-ის პირველი საკონსულო გაიხსნა, და გაგრძელდა, სანამ საბჭოთა ძალებმა ძალის გამოყენებით არ შეაფერხეს. ეს წიგნი გახლავთ საქართველოში ამერიკის საელჩოსა და საქართველოს ეროვნული არქივის ერთობლივი მცდელობა, დღის სინათლე იხილოს ამ მეგობრობის მივიწყებულმა ისტორიამ.

1918-1921 წლებში საქართველოს ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული რესპუბლიკა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. ომმა და რევოლუციამ გაანადგურა საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები: წარმოება მცირდებოდა, მაშინ როცა ინფლაცია, შიმშილი და უმუშევრობა იზრდებოდა.

1914 წლის აპრილში ბათუმში აშშ-ის საკონსულოში დაინიშნა ფელიქს ოქტავიუს უილოუბი სმიტი, რომელმაც ერთ წელიწადში საკონსულო სამსახური თბილისში, საქართველოს პოლიტიკურ ცენტრში, გადაიტანა. 1917 წელს ცარიზმის დამხობას, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებასა და რუსეთის პირველი მსოფლიო ომიდან უეცარ გასვლას საქართველოში სოციალური და პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი ცვლილება მოჰყვა.

სმიტის მიერ დაწერილი ცნობები კავკასიის სოციალური, პოლიტიკური და სამხედრო განვითარების შესახებ სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციის წყაროდ იქცა. ამ ინფორმაციის შინაარსი მას წარმოაჩენს, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის და აშშ-ის მხრიდან ახალშექმნილი ქვეყნისთვის დახმარების გაზრდის მტკიცე მხარდამჭერს. სმიტი ვაშინგტო-

After regaining independence in 1991, Georgia has overcome many challenges to establish a modern and democratic state and integrate into the Euro-Atlantic family. During this process, the United States has been among Georgia's most consistent and reliable supportes. Yet our shared history began long ago, when the first U.S. consulate arrived to Batumi in 1886. Throughout the early 1900s and under Georgian independence, our business and diplomatic ties continued to grow until forcefully broken by Soviet power. This book represents a joint effort by the U.S. Embassy and the LEPL National Archives of Georgia to celebrate this 30-year anniversary and bring portions of our forgotten history to light.

From 1918 to 1921, the newly independent Democratic Republic of Georgia faced immense challenges. War and political change had weakened Georgia's economic relationships. Productivity plummeted while inflation, hunger, and unemployment rose.

In April 1914, Felix Octavius Willoughby Smith was appointed to the U.S. Consulate in Batumi, and within a year he had moved the consular office to Tbilisi, the political center of Georgia. In 1917, with the collapse of Czarism, the ascension of the Bolshevik regime, and Russia's sudden withdrawal from World War I, Georgia's social and political landscape underwent drastic changes.

Smith was a prolific cable-writer and distinguished himself as a vital source of information about social, political and military developments in the Caucasus during the World War. His remarkable cables reveal a passionate supporter of Georgia's independence and a strong advocate for increased U.S. assistance. While his tireless petitions sometimes tested the patience of Washington administrators, Smith continued to urge

ნისგან შეუპოვრად ითხოვდა საქართველოსთვის თავდაცვითი და ჰუმანიტარული დახმარების გაზრდას.

ნაწილობრივ მისი დამსახურებით, აშშ-ის იმდროინდელი საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა ახალბედა დემოკრატიული სახელმწიფოების გაძლიერებასა და ბოლშევიზმის გავრცელების შეზღუდვას. 1919 წელს პოლკოვნიკმა უილიამ ჰასკელმა, მოკავშირეთა უმაღლესმა კომისარმა ამიერკავკასიაში და არსებული ჰუმანიტარული დახმარების კოორდინატორმა, რეკომენდაციით მიმართა ვაშინგტონს, უზრუნველეყო „საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება, რათა ქვეყანას მისცემოდა შესაძლებლობა თავი დაეცვა ანარქიისგან და მტკიცედ დაემყარებინა ნამდვილი დემოკრატია ამიერკავკასიაში“.

ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში პირველი მსოფლიო ომის შემდგომი გაჭირვების შესამსუბუქებლად აშშ-ის კონგრესმა ჩამოაყალიბა ამერიკის დახმარების ადმინისტრაცია (ARA), რომელმაც დახმარების სახით გასცა 100 მილიონი აშშ დოლარი (დღევანდელი დაახლოებით 1,6 მილიარდი დოლარის ეკვივალენტი), რასაც ემატებოდა ამერიკის მოქალაქეებისგან მიღებული სხვა სოლიდური შემოწირულობები. ARA შეუერთდა კავკასიაში მოქმედ ამერიკულ ჰუმანიტარულ ორგანიზაცია  Near East Relief-ს (NER), რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა სომხეთსა და საქართველოს. ამ წიგნში პირველად ქვეყნდება საქართველოში მათი ჰუმანიტარული აქტივობების ამსახველი ფოტოები, რომლებიც აშშ-ის საელჩომ ჰუვერის ინსტიტუტის ბიბლიოთეკიდან და არქივიდან მოიპოვა.

ARA-ის კავკასიის მისიის ოფისი მდებარეობდა სოლოლაკში, საიდანაც ARA დახმარებას ანაწილებდა რეგიონში შემდეგი რვა მიმართულებით: ბათუმი, ბორჯომი, ბაქო, თბილისი, ვანაძორი (ყოფილი კარაკლისი), გიუმრი (ყოფილი ალექსანდროპოლი), ყარსი და ერევანი. ამ დახმარების დიდი ნაწილი მიმართული იყო ლტოლვილთა მზარდი კრიზისის შემსუბუქებისკენ და მოიცავდა კვების რაციონს, სამედიცინო და სტომატოლოგიურ მომსახურებას, სანიტარიულ საშუალებებს, ასევე მენეჯერულ მოვალეობებს საავადმყოფოებში, საჯარო დისპანსერებსა და ბავშვთა სახლებში. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების ეს პირველი ჰუმანიტარული ძალისხმევა კავკასიაში

the U.S. to increase support for defense and humanitarian aid.

Thanks in part to his efforts, the U.S. adopted a policy that aimed to bolster the fledgling democratic state and limit the expansion of Bolshevism. In 1919, Colonel William Haskell, Allied High Commissioner to the Transcaucasus and overseer of all humanitarian support, recommended that Washington seek “the strengthening of Georgia, political and economic, [to] give it the possibility to safeguard itself from anarchy and firmly establish true democracy in Transcaucasia.”

To help alleviate post-World War I hardship in the Middle East and Eastern Europe, the U.S. Congress formed the American Relief Administration (ARA), authorizing relief funds of $100 million (equivalent to approximately $1.6 billion today) alongside additional large donations from private American citizens. In the Caucasus, ARA joined with Near East Relief (NER), an active American humanitarian organization with a significant presence in Armenia and Georgia. Photographs of their humanitarian activities in Georgia, recently shared with the U.S. Embassy from the Hoover Institute Library and Archives, are published here for the first time.

The office of ARA’s Caucasus mission was located in Sololaki. From here, ARA directed aid into eight districts in the region: “Batumi, Borjomi, Baku, Tbilisi, Vanadzor (former Karaklis), Gyumri (former Alexandropol), Kars, and Yerevan.” Much of this assistance aimed to relieve the growing refugee crisis and included food rations, medical and dental services, and sanitation projects, as well as managerial duties at hospitals, public dispensaries, and orphanages. Although early U.S. humanitarian efforts remained an untold story, details of these operations can be found in several Georgian newspapers, such as articles in “Ertoba” and “Sakartvelos Respublica” from 1919 to 1921.

In early February 1921, the Red Army invaded Georgia. By February 17, the Russians were less than 10 miles from Tbilisi. The outnumbered Georgian armed forces, led by Commander-in-Chief General Giorgi Kvinitadze, fought valiantly against the far superior Soviet invaders.

The battle for Tbilisi took place at Tabakhmela and Kojori. Wanda Gambashidze-Hope, a U.S. citizen who served as a




The NEW NEAR EAST
Published by the NEAR EAST RELIEF
JUNE 1922
151 Fifth Avenue NEW YORK, N.Y.

Pier 14, Staten Island, New York, during the loading of the Leise Maersk, which sailed for Constantinople and Batoum on April 27 with a $400,000 cargo of foodstuffs, medical supplies and farm equipment

*„ახალი ახლო აღმოსავლეთის” 1922 წლის ივნისის ნომრის გარეკანი. ჟურნალი გამოიცემოდა ახლო აღმოსავლეთის დახმარების ამერიკული კომიტეტის მიერ 1920 წლიდან და მიმოიხილავდა კომიტეტის ჰუმანიტარულ საქმიანობას.*
*ფოტო ჰუვერის ინსტიტუტიდან.*

*June 1922 cover of The New Near East. This magazine, published by the Near East Relief throughout the 1920s, brought news of the Near East Relief’s humanitarian efforts to the United States and helped raise funds.*
*Photo from Hoover Institution.*



*ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის (ARA) შტაბი თბილისში, რტიშჩევის ქუჩაზე (დღეს პაოლო იაშვილის ქუჩა). [1920 წელი].*
*„სოვლაბის“ ფოტო.*

*The American Relief Administration (ARA) headquarters in Tbilisi on Rtischev Street (now Paolo Iashvili Street). Circa 1920.*
*Photo from SOVLAB*

არ იყო გახმაურებული, ამ საქმიანობის შესახებ გარკვეული ინფორმაცია მაინც გვხვდება, მაგალითად, 1919–1921 წლებში გამოცემული ქართული გაზეთების – „ერთობისა“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ – სტატიებში.

1921 წელს საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა. 17 თებერვლისთვის რუსებს თბილისთან 10 მილზე ნაკლები აშორებდათ. საქართველოს შეიარაღებული ძალები,  გენერალ გიორგი კვინიტაძის მეთაურობით, მამაცურად ებრძოდნენ ბევრად უკეთ აღჭურვილ საბჭოთა დამპყრობლებს.

თბილისისთვის ბრძოლა ტაბახმელასა და კოჯორთან მიმდინარეობდა. ამ ბრძოლებში მონაწილეობდნენ აშშ-ის მოქა-

nurse on the front lines, and her enlisted son, Givi Gambashidze, took part in the battle. Wanda was a representative of the Red Cross in Georgia, an English teacher at Tbilisi State University, and the wife of the famous Georgian doctor and diplomat Vakhtang Gambashidze. After the occupation of Georgia, Wanda left Tbilisi and served in Constantinople, helping Georgian political refugees find asylum abroad. Their son Givi was only 18 years old when he fought against the Red Army, and his memoirs, ***Days of War***, published by the National Archives of Georgia, are widely read to this day.

After the Soviet invasion and Georgia’s occupation, the U.S. consular office in Georgia did not reopen. According to local reports, the U.S. Consul, Charles Moser, stayed in Georgia even after the war had started. Following Soviet occupation, Near

ლაქე, მედდა ვანდა ღამბაშიძე-ჰოუპი და მისი ვაჟი გივი ღამბაშიძე. ვანდა, ცნობილი ქართველი ექიმისა და დიპლომატის ვახტანგ ღამბაშიძის მეუღლე, საქართველოში წითელი ჯვრის წარმომადგენელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის ლექტორი გახლდათ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ ვანდამ თბილისი დატოვა და კონსტანტინოპოლში მუშაობდა, სადაც ქართველ პოლიტიკურ ლტოლვილებს საზღვარგარეთ თავშესაფრის მოპოვებაში ეხმარებოდა. მათი ვაჟი, გივი, წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლისას 18 წლის იყო და მისი მემუარები „ომის დღეები“, რომელიც ეროვნულმა არქივმა გამოსცა, დიდი პოპულარობით სარგებლობს.

საბჭოთა რეჟიმის დამყარებისა და ოკუპაციის შემდეგ, საქართველოში აშშ-ის საკონსულო სამსახური აღარ გახსნილა. Near East Relief აგრძელებდა არაპოლიტიკურ საქმიანობას, მუშაობდა ბავშვთა სახლებსა და ჯანდაცვის პროგრამებზე ქვეყანაში მანამ, სანამ 1930 წელს საბჭოთა კავშირის მხრიდან ზეწოლის შედეგად ორგანიზაციამ იძულებით არ დატოვა ქვეყანა.

წითელი არმიის შემოჭრიდან  სამოცდათერთმეტი წლის შემდეგ, 1992 წლის 24 მარტს, საქართველოსა და აშშ-ის შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. მალევე, 1992 წლის 23 აპრილს, ავლაბარში, სასტუმრო „მარკო პოლოში“ (ახლანდელი „შერატონ მეტეხი“), აშშ-ის საელჩო გახსნა საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა კერი კავანომ. იმავე წლის 25-26 მაისს საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი შედგა. პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აშშ-დან ამგვარი მაღალი დონის ვიზიტს განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ვიზიტის ფარგლებში მან შეხვედრა გამართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს იმდროინდელ ხელმძღვანელ ედუარდ შევარდნაძესთან.

ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების საქმეში უმნიშვნელოვანესია აშშ-ის კონგრესის ორპარტიული მხარდაჭერა, რაც არაერთ რეზოლუციასა თუ კანონში იქნა ასახული. ამ თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობისაა 2017 წელს აშშ-ის ბიუჯეტში, კონსოლიდირებული ასიგნებების აქტში (Consolidated Appropriations Act FY22), გაჩენილი პირველი ჩანაწერი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის საკითხზე. დოკუმენტში ნათქვამია,



*ამერიკის დახმარების ადმინისტრაციის (ARA) მიერ თბილისში გახსნილი კაკაოს სამზარეულო, სადაც ბავშვებს კაკაოთი და პურით უმასპინძლდებოდნენ [1920 წელი].*
*ფოტო ჰუვერის ინსტიტუტიდან.*

*Cocoa kitchen, set by the American Relief Administration (ARA) in Tbilisi, feeding children with cup of cocoa and bread. Circa 1920.*
*Photo from Hoover Institution.*

East Relief continued its non-political activities in Georgia, operating orphanages and health programs in the country until they were forced to leave by the Soviets in 1930.

It would be seventy-one years after the Red Army invasion of Georgia that diplomatic relations were established between Georgia and the U.S. on March 24, 1992. Soon, the U.S. Embassy was opened by Chargé d'Affaires Carey Cavanaugh on April 23, 1992, at the Marco Polo Hotel (now the Sheraton Metekhi) in the Avlabari district of Tbilisi. On May 25–26 of the same year, U.S. State Secretary James Baker visited Georgia. This historic occasion marked the first visit to Georgia by a high-level U.S. official. Within the framework of the visit, he held a meeting with the then-head of the State Council of the Republic of Georgia, Eduard Shevardnadze. On September 9, 1992, the first U.S. Ambassador, Kent Brown, presented his credentials in Tbilisi.

Georgia's sovereignty and territorial integrity have received full bipartisan support from the U.S. Congress and



რომ აშშ-ის დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერც ერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა თუ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დაადგენს და ასიგნებების კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულმა ქვეყანამ აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა. უფრო მეტიც, ხსენებული აქტით გამოყოფილი რაიმე დაფინანსება არ შეიძლება გამოყენებული იყოს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის მხარდასაჭერად. აღნიშნული ფორმულირება ურყევადაა შენარჩუნებული დღემდე აშშ-ის ბიუჯეტის ტექსტში.

ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველომ და შეერთებულმა შტატებმა განიცადეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური ცვლილებები, თუმცა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა და მეგობრობა უცვლელი დარჩა. აშშ-ის ჰუმანიტარულმა, ტექნიკურმა, საგანმანათლებლო და ეკონომიკურმა მხარდაჭერამ ხელი შეუწყო საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების, დემოკრატიულ და ეკონომიკურ რეფორმებს, საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, რითაც საფუძველი ჩაუყარა ათწლეულების თანამშრომლობას დემოკრატიის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის, ხალხთა და კულტურული მიმოცვლის საერთო პრიორიტეტულ სფეროებში.

ეს წიგნი გახლავთ საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და საქართველოს ეროვნული არქივის ერთობლივი ძალისხმევა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს აშშ-ისა და საქართველოს ურთიერთობის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია და ხაზი გაუსვას ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ პარტნიორობას.

**რაიან შერმანი**

**ნიკოლოზ სეფიაშვილი**

has been reaffirmed in multiple resolutions and legislative acts. For example, the annually-approved Consolidated Appropriations Act specifies that no central government country recognising the independence of Russia-occupied Abkhazia or the Tskhinvali region/South Ossetia may benefit from the act's funds, nor may any of the funds assist Russia's occupation of the Georgian territories of Abkhazia and the Tskhinvali Region/South Ossetia. This unambiguous and critical wording has been retained each year in the text of the U.S. budget legislation.

Over the past 30 years, the world has experienced significant changes, yet our strategic partnership and friendship have remained steadfast. Humanitarian, technical, educational, and economic assistance from the U.S. has contributed to the strengthening of Georgia's defense and security, democratic and economic reforms, and Georgia's Euro-Atlantic integration. These efforts have laid the groundwork for decades of cooperation in shared priority areas such as democracy, defense and security, economic, trade, and energy issues, and people-to-people and cultural exchanges.

This book, a joint effort by the U.S. Embassy to Georgia and LELP National Archives of Georgia, is a tribute to the long-standing and meaningful history that underlies the friendship and strategic partnership between the United States and Georgia.

**Ryan Sherman**
**Nikolozi Sepiashvili**

# მიღწევები და მნიშვნელოვანი ფაქტები
# SUCCESSES AND MILESTONES

### 1993 წელს

შეიქმნა პირველი აკადემიური გაცვლითი პროგრამები. მას შემდეგ საქართველოს 6 000-ზე მეტი მოქალაქე გაემგზავრა აშშ-ში სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული კულტურის გაზიარებისა და ამერიკული კულტურის შესასწავლად.

### 1997 წელს

ვაშინგტონში გაფორმდა შეთანხმება „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“, რამაც საფუძველი ჩაუყარა გაზრდილ ეკონომიკურ თანამშრომლობას ხელშეკრულებებისა და კონტრაქტების დაცვის უზრუნველსაყოფად, ხაზი გაუსვა ორი ქვეყნის საერთო ვალდებულებას ღია ინვესტირებისა და ვაჭრობის პოლიტიკაში.

### 1997 წელს

გაფორმდა შეთანხმება „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“, რომლის თანახმად, აშშ და საქართველო თანამშრომლობენ ბირთვულ, ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღთან დაკავშირებული მასალისა და ექსპერტული ცოდნის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

### 2001 წელს

გაიხსნა საქართველოში „მშვიდობის კორპუსი“ (Peace Corps) და მისიის ფარგლებში დღემდე 500-ზე მეტმა მოხალისემ სკოლებისა და ორგანიზაციების კომპეტენციის განვითარებისთვის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან იმუშავა.

### 2005 წელს

გაფორმდა „ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმება“ (MCC), კომპაქტი საქართველოს მთავრობასა და ათასწლეულის გამოწ-

### 1993

The first U.S. educational exchange programs are established. Since their launch, more than 6,000 Georgian citizens have traveled to the United States to study in schools and universities, to share Georgian culture while learning about American culture firsthand, and to strengthen citizen-to-citizen ties.

### 1997

The Agreement on the Promotion and Reciprocal Protection of Investments was signed in Washington. The ceremony took place on July 17, 1997, and it entered into force on November 10, 1997. This agreement laid the foundation for the increase in economic cooperation by guaranteeing protections for contracts and investments, underscoring the shared commitment of both countries to open investment and trade policies.

### 1997

With the Agreement on the Promotion and Reciprocal Protection of Investment, the United States and Georgia formalized their cooperation to prevent the proliferation of weapons, materials, and expertise related to nuclear, biological, and chemical weapons.

### 2001

The United States Peace Corps program opens its Georgia mission. Since its launch, more than 500 volunteers have served in Georgia, working directly in communities to develop schools and organizations' capacity.

### 2005

The Millennium Challenge Agreement (MCA), a compact between the Government of Georgia and the Millennium Challenge



ვევის კორპორაციას (MCC) შორის, რომლის შედეგად 295.3 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო საქართველოში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ასევე სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროში საწარმოების განვითარების ხელშესაწყობად.

### 2009 წელს

ვაშინგტონში ხელი მოეწერა აშშ-საქართველოს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ამ შეთანხმებით კიდევ ერთხელ დადასტურდა აშშ-ის ერთგულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ევროპულ და ევროატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტებში საქართველოს ინტეგრაციისადმი. განმტკიცდა პარტნიორობა დემოკრატიის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის, ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების სფეროებში.

### 2011 წლიდან

საქართველო მასპინძლობს საქართველო-ამერიკის ერთობლივ სამხედრო წვრთნებს „მებრძოლი სული“. საქართველო აშშ-სთვის სანდო პარტნიორია საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების მიმართულებით.

### 2013 წელს

ხელი მოეწერა მეორე კომპაქტს საქართველოს მთავრობასა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას (MCC) შორის, რომლის შედეგად დამატებით 140 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო განათლების ხარისხის განვითარების გზით საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად.

### 2013 წელს

გაიხსნა რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი. საქართველოსა და აშშ-ის შორის გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე, აშშ-ის მხარის დაფინანსებით, 2004 წელს დაიწყო ცენტრის მშენებლობა და დღეისათვის „ლუგარის ცენტრი“ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის ლაბორატორიული ქსელის უმაღლესი დონის დაწესებულებაა.

Corporation (MCC), is signed. This compact allocated $295.3 million for the rehabilitation of infrastructure in Georgia as well as to promote the development of enterprises in the fields of agriculture and tourism.

### 2009

The U.S.-Georgia Charter on Strategic Partnership was signed in Washington. This agreement reaffirmed U.S. commitment to Georgia's territorial integrity, NATO aspirations, and Euro-Atlantic integration and laid the groundwork for decades of cooperation in shared priority areas of democracy, defense and security, economic, trade, and energy issues, and people-to-people and cultural exchanges.

### 2011

Georgia hosts Georgian-American military exercises "Fighting Spirit." Georgia has proven itself to be one of the most active and reliable partners for maintaining regional stability.

### 2013

The MCC 2013 Georgia II, the follow-up to the Millennium Challenge Agreement, is signed, providing an additional $140 million to increase the earning potential of Georgians through holistic improvements in education.

### 2013

The Richard Lugar Center for Public Health Research fully opens. The Lugar Research Center was constructed with funds from the U.S. Government within the framework of the Cooperative Biological Engagement Program, and is now fully funded and operated by the Government of Georgia. The center serves Georgia as a world-class laboratory and research institution for the epidemiological surveillance of diseases and biomedical and biosafety professional training.

### 2015 წელს

საქართველოში ჩატარდა პირველი ყოველწლიური საერთაშორისო წვრთნა „ღირსეული პარტნიორი“. წვრთნაში 20 ქვეყნის, მათ შორის იაპონიისა და შვედეთის, სამხედრო მოსამსახურეებმა მიიღეს მონაწილეობა.

### 2015 წელს

ამოქმედდა საქართველოსა და აშშ-ის ერთობლივი წარმატებული C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. 2021 წლისთვის აქტიური ინფექციის შემთხვევების რაოდენობა 67%-ით შემცირდა.

### 2016 წელს

გაფორმდა მემორანდუმი თავდაცვისა და უსაფრთხოების გაღრმავების შესახებ, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ორი ქვეყნის პარტნიორობა და აშშ-ის ერთგულება საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

### 2022 წელს

ჰარვარდის უნივერსიტეტის დევისის ცენტრში ქართველოლოგიის პროგრამა ამოქმედდა. ახალი პროგრამისთვის გამოიყო 2.3 მილიონი აშშ დოლარი საქართველოს ისტორიისა და კულტურის კვლევების მიზნით.

### 2022 წელს

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა საქართველოს მხარდამჭერი ორპარტიული კანონპროექტი (Georgia Support Act), რომელიც აშშ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში პირველი ცალკე მდგომი საკანონმდებლო ინიციატივაა, რაც არსებითი ნაბიჯია მისი კანონად მიღების გზაზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტის, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერასა და რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის დაგმობას.

### 2015

The first annual “Worthy Partner” international exercises take place in Georgia. Military personnel from over 20 countries, including Japan and Sweden, took part.

### 2015

The Hepatitis Elimination Program, a joint U.S./Georgia health effort, is launched. As of 2021, the active infection rate has seen a 67% reduction in infections.

### 2016

A memorandum on Deepening the Defense and Security Partnership was signed. This agreement reaffirmed our strategic partnership and U.S. commitment to Georgia’s sovereignty, independence, and territorial integrity.

### 2022

The Georgian Studies Program is launched at the Davis Center of Harvard University. The new program is funded in part by a $2.3 million grant to support research related to Georgia and expand knowledge related to Georgian history and culture.

### 2022

The United States House of Representatives approves the Georgia Support Act to further strengthen our strategic partnership at the legislative level, reaffirming support for Georgian sovereignty, Euro-Atlantic integration, and condemning human rights violations in Russian-occupied territories.

# ქართულ-ამერიკული ურთიერთობის სათავეებთან

# BEGINNING OF GEORGIAN-AMERICAN RELATIONS

აშშ-ის ჰუმანიტარული დახმარება კავკასიაში საქართველო-შეერთებული შტატების ურთიერთობის ისტორიის ნაკლებად ცნობილი ისტორიაა. ინფორმაცია იძებნება ძველ ჩანაწერებში და გაფანტულია იმდროინდელ ქართულ პერიოდულ პრესაში. მაგალითად, გაზეთ „ერთობის“ 1919 წლის სტატიაში ვკითხულობთ, რომ შეერთებულმა შტატებმა 20 000 გირვანქა პურის ფქვილი გამოაგზავნა. 1920 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ კი გამოქვეყნდა პოლკოვნიკ ჰასკელის დეპეშა გორში მიწისძვრით დაზარალებულთათვის ფოთის პორტში შემოსული სამი ვაგონი ტანსაცმლის თაობაზე. 1921 წლის გაზეთი „ერთობა“ იუწყება რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის დასაწყისშივე კონსულ ჩარლზ მოსერის მიერ ვაშინგტონიდან საქართველოსთვის დამატებითი სამედიცინო დახმარებისა და საკვების მოთხოვნაზე.

აქ წარმოდგენილი ფოტოები აშშ-ის საელჩომ ბოლო პერიოდში მოიპოვა სტენფორდის უნივერსიტეტის ჰუვერის ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და არქივიდან. ისინი ასახავს ამერიკის დახმარების ადმინისტრაციისა (ARA) და ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაციის Near East Relief-ის ერთობლივ საქმიანობას. კონფლიქტმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა საკვების საყოველთაო დეფიციტი გამოიწვია. NER-ის კავკასიის ბიურო რეგიონში ამუშავებდა 82 თავშესაფარს, სადაც ARA-ის მხარდაჭერით ბავშვებს დღეში სამჯერ კვებავდნენ. „წვნიანის სამზარეულოები“ მუშაობდა უფროსებისთვის, მეძუძური დედებისთვის რძეს არიგებდნენ, „კაკაოს სამზარეულოებში“ კი ბავშვებს უმასპინძლდებოდნენ.

Early 1900s the American humanitarian support in the Caucasus remains a largely untold story in the history of U.S./Georgian relations. Details of these operations can also be found in old records and scattered throughout Georgian newspapers from the time. For example, a 1919 article in ***Ertoba*** reports the delivery of 20k lbs. of flour for bread from the United States. A 1920 article in ***Sakartvelos Respublica*** details a telegram from Colonel Haskell about three wagonloads of clothes in Poti for the victims of the 1920 earthquake in Gori. A 1921 ***Ertoba*** article reports urgent requests from Consul Charles Moser to Washington, D.C., for additional medical aid and food for Georgia at the onset of the Russian-Georgian war of 1921.

Photographs recently acquired by the U.S. Embassy from the Hoover Institution Library and Archives at Stanford University are shown here. These depict the joint operations of the American Relief Administration and the Near East Relief Foundation. The NER's Caucasus branch operated a total of 82 orphanages throughout the region, where children were fed three full meals per day with ARA support. Soup kitchens were set up for adults; milk stations assisted nursing mothers; and "cocoa kitchens" provided supplemental nutrition to children.





ARA და NER დახმარებას უწევდა საავადმყოფოებს. ფოტოზე მითითებულია შემდეგი ანოტაცია:
„გენერალი ვარდი N7 საავადმყოფოში. ტიფლისი. მეორე საუზმის დრო“. [1920 წელი].

ARA and NER provided support to hospitals. The original caption here reads:
"General Ward in Hospital N.7 Tiflis District." Lunch Hour." Circa 1920.



NER-ის ობოლთა თავშესაფარი თბილისში. ფოტოზე მითითებულია შემდეგი ანოტაცია: „შუადღის კვება N1 თავშესაფარში (ვაჟთა). ტიფლისი. თავშესაფარი 600 ბავშვს იტევდა.“ [1920].

An orphanage in Tbilisi run by the NER. The original caption reads: “The noon meal in orphanage No. 1 (boy) in Tiflis District. The orphanage has a capacity of 600.” Circa 1920.



თბილისში მდებარე N2 თავშესაფარში მამაკაცი ბავშვებისთვის უკრავს გუდასტვირზე. თავშესაფარი NER-ის საშუალებით და შეერთებული შტატების მხარდაჭერით ფუნქციონირებდა. [1920].

A man plays a gudastrivi, a Georgian bagpipe, for children at the dining room of orphanage No. 2 in Tbilisi. This orphanage was supported by the U.S. through Near East Relief. Circa 1920.





N7 თავშესაფრის სასადილო თბილისში. [1920].

Dining room at orphanage No. 7 in Tbilisi. Circa 1920.



საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918 წელს მყოფი უცხოელი დიპლომატების მისამართები და ტელეფონის ნომრები. მათ შორის ამერიკის კონსულის მისამართი: ვენიამინოვის ქუჩა (დღევანდელი შალვა დადიანის ქუჩა) 15. აშშ-ის პირველი საკონსულო ბათუმში 1886 წელს გაიხსნა, 1914 წელს კი საკონსულო თბილისში გადავიდა.

Addresses and telephone numbers of foreign diplomats to the Democratic Republic of Georgia in 1918, including the address of the U.S. Consul: 15 Veniaminov Street (today's Shalva Dadiani Street) in Tbilisi. The first U.S. consulate was opened in Batumi in 1886 and was moved to Tbilisi in 1914.





Annexe au N° 560 du 8 Novembre 1919. (COPIE)

Historical as well as fundamental state rights, the principle of free self-determination of nations, and the importance of preserving order in a country, dictate the necessity of a formal recognition by the Allied Powers of the independence of the Georgian Republic. Eighteen months of its existence is the best proof of the capacity of the Georgian nation to create its own state order and of its firm determination to have an independent national life. These considerations have been fully laid down in the memorandum of the Georgian Delegation (sent to the American Delegation under N° 80 on March 14th) and in a number of subsequent notes to the Peace Conference. The Allied Powers interested in establishing freedom and order, can apply these principles in Georgia only by formally recognising the independence of the Georgian Republic.

Though considering this question of formal recognition of vital importance the Georgian Delegation also wishes to submit the following points:

The constant menace of invasion of the Volunteer Army disturbs the tranquillity of Georgia and obliges her to keep under arms a number of extra troops.

In order to remedy this and to establish good neighbourly relations between Southern Russia and Georgia, in case the formal recognition of Georgia is not decided upon at once, it will be necessary:



- 2 -

I.- a) that the Great Powers immediately should recognise, at least de facto, the present Georgian Government.

b) the guarantee of the Great Powers that the independence of Georgia will be respected de facto by the Volunteer Army, and generally by the Governments which recognise Admiral Kolchak as their Supreme chief.

II.- To establish order and to put an end to intrigue and dissension it is necessary to unite immediately Batum province to Georgia in conformity with the expressed desire of its population.

Batum port, in view of its special importance at the present time, could remain under the control of the Allied Powers till the final decision on Trans-Caucasian questions is given.

III.- The speediest recognition, at least de facto, of the independence of Georgia by the Allied Powers is urgent also for the re-establishment of normal commercial connections with Europe and America; only then Georgia will be able to obtain the necessary credits and to organise the regular export of raw materials and the import of manufacture.

IV.- The strengthening of Georgia, political and economical, will give her the possibility to safeguard herself from anarchy and firmly establish true democracy in Trans-Caucasia.

საქართველოს დელეგაციის მიმართვა ამერიკელი პოლკოვნიკის, ამიერკავკასიაში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის, უილიამ ნაფიუ ჰასკელისადმი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობის შესახებ.

*„როგორც ისტორიული, ისე ფუნდამენტური უფლებები, ერის თავისუფალი თვითგამორკვევის იდეა და ქვეყანაში წესრიგის შენარჩუნება, გვკარნახობს მოკავშირეთა ძალების მხრიდან საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ოფიციალურად აღიარების აუცილებლობას. მისი არსებობის თვრამეტი თვე საუკეთესო მტკიცებულებაა ქართველი ერის შესაძლებლობისა, შექმნან საკუთარი სახელმწიფო წყობა და მტკიცე გადაწყვეტილებისა, ჰქონდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.*

***1919 წლის 8 ნოემბერი.***

A statement of the Georgian delegation to the United States Colonel and Allied High Commissioner in Transcaucasia, William N. Haskell, about the need to recognise the independence of the Republic of Georgia.

*„The necessity of a formal recognition of the independence of Georgian Republic by the Allied Powers is dictated by historical as well as fundamental state rights; the principle of free self-determination of nations; and the importance of maintaining order in the country. The first eighteen months of its existence are the best proof of the Georgian nation's ability to create its own state order and its firm determination to live as an independent state.*

***November 8, 1919.***

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის მიმართვა ამერიკელ დიპლომატ ედუარდ ჰაუსს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისა და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის თხოვნით.

*საქართველო სრულ ნდობას უცხადებს დიდ ამერიკულ დემოკრატიას მისი დამოუკიდებლობის აღიარების მხარდაჭერაში, ქვეყნის თავისუფლებისა და ტერიტორიის გენერალ დენიკინის არმიისგან მომდინარე საფრთხისგან დაცვაში.*

***1919 წლის 10 ივნისი.***


DÉLEGATION
DE LA
RÉPUBLIQUE GÉORGIENNE
37, RUE LA PÉROUSE, 37
PARIS (16e)

To the Hon. Edward M. House
PARIS.

MEMORANDUM.

Georgia is a country with a population of three millions occupying the western part of Trans-Caucasia, with Tiflis as the capital, and Batum and Poti as chief ports on the Black Sea.

Georgia was an independent State up till the beginning of the 19-th century, when she, by a voluntary treaty of Protectorate, allied herself to the Russian Empire.

This treaty was soon violated by the Russian Government and Georgia was treated as a simple province of the empire.

The Georgians are one of the oldest civilized nations of the Christian East.

By language and race, the Georgians have nothing in common with the Slavs and Russians from whom they are separated by a natural boundary, the High Caucasian Range.

After the Bolshevist Coup d'Etat, in November 1917, Georgia together with her neighbours the Armenians and Tartars, organised the Trans-Caucasian Government, separate and hostile to the Bolshevists. Somewhat later, 26 May 1918, it became necessary for Georgia to declare her independence as a democratic republic. From that time, the work of organising the Georgian







The delegation of the Democratic Republic of Georgia addressed the U.S. diplomat, Edward M. House, at the Paris Peace Conference with a request to recognize Georgia's independence and support its political and economic strengthening.

*Georgia is putting its complete trust in the support of the great American democracy for the recognition of her independence and in the acute question of protecting her freedom and territory from the menace of Gen. Denikin's Army.*

***June 10, 1919.***



პარიზის მშვიდობის კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მეთაურის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის მოხსენება მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიასადმი დელეგაციის მუშაობის შესახებ.

*მეტად უნუგეშო იყო საქმე დღემდის ამერიკაში, რომელზედაც, რა საკვირველია, ძალიან დამოკიდებულია ჩვენი საკითხის გადაჭრა და სადაც ჩვენ ჩვენდა სასარგებლოთ სიტყვის მთქმელი კაცი არ გვყავს. რანაირად გავუსწორეთ ჩვენი ანგარიში ამ ნაკლს, თქვენ დაინახავთ იმ პირობებიდან, რომელიც ჩვენ დავდევით ამერიკელ მოქალაქე ჩენდლერთან. ასეთი პირობა დასდეს მასთან აზერბაიჯანელებმა, ესტონელებმა, ლიტველებმა. საერთო იდეაა, რომ ბალტიის ზღვიდან კასპიის ზღვამდე შესდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფოების კავშირი, ერთგვარი ბარიერი რუსეთსა და გერმანიას შორის. მისი რწმენით, ამ იდეას ბევრი მომხრე ეყოლება ამერიკაში, თუ მას შესაფერისი გამავრცელებელი ეყოლება. მას სურს, რომ ვინმე გაჰყვეს ამერიკაში. ის გვაიმედებს, რომ ჩვენი კაცი მისი დახმარებით შეძლებს, რომ წარსდგეს სენატის კომისიის წინაშე და დაიცვას ჩვენი საქმე.*



***1919 წლის 20 სექტემბერი, პარიზი.***

The report of Nikoloz (Carlo) Chkheidze, head of the Georgian delegation at the Paris Peace Conference, to Noe Jordania, the Prime Minister of the Democratic Republic of Georgia about the diplomatic efforts of the delegation.

*Up to today, the situation in America was very inconsolable, on which, naturally, the solution to our question depends, and where we have no man to speak in our favor. You will see how we have improved this defect from the terms we have made with Chandler, the American citizen. Azerbaijanis, Estonians, and Lithuanians made such an agreement with him. The general idea is to build a union of independent states from the Baltic Sea to the Caspian Sea, a kind of barrier between Russia and Germany. According to his belief, this idea will have many supporters in America, if it has a suitable promoter. He wants someone to follow him to America. He assures us that with his help our representative will be able to appear before the Senate committee and defend our case.*

***September 20, 1919, Paris.***



WALTER M. CHANDLER
19TH NEW YORK DIST.

COMMITTEE ON JUDICIARY

House of Representatives U. S.
Washington, D. C.

October 18th. 1919

To
His Excellancy
Nicolas Tchéidze
Paris France.

Honored Sir:

I have delayed making my first report to you until I could learn the exact situation in America relative to the claims of the non-Russian republics to independence.

With reference to Georgia and Azerbaidjan the American people and the American Congress seem to know very little. During several months past, through local organizations and delegations in New York and in Washington, the Esthonians, Letts, Lithuanians and the Ukrainians, have been making quite an extensive propaganda. These four nations have already been heard by the Foreign Affairs Committee of the Senate, and resolutions relating to them are now pending before the Foreign Affairs Committee of the House of Representatives. The presence in America of many hundreds of thousands of these nationalities has rendered it possible to carry on this propaganda without having regularly accredited official representatives from abroad.

The case is different with Georgia and Azerbaidjan. Very few representatives of these countries live in America and local agitation by populations representative of these countries is impossible. It will be necessary for delegations of Georgia and Azerbaidjan to come to America to help direct their propaganda, or it will be necessary for me and my friends to do it alone. Having been retained and paid by you, you may rest assured that nothing will be left undone to protect the interest and promote the independence of your country. The work will of necessity proceed slowly at first, but I will lose no time and will spare no energy in placing the cause of your country before the American Congress and the American people.

ამერიკელი კონგრესმენის, აშშ-ში საქართველოს პირველი ოფიციალური ლობისტის, უოლტერ მარიონ ჩენდლერის წერილი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის ნიკოლოზ ჩხეიძისადმი ქართული დელეგაციის აშშ-ში გამგზავრებისა და ადგილზე საქართველოს საკითხზე აგიტაციის საჭიროების შესახებ, რადგან ამერიკელებისთვის ცოტა რამ იყო ცნობილი საქართველოს შესახებ.

*1919 წლის 18 ოქტომბერი, ნიუ-იორკი.*

A fragment from the letter of the U.S. congressman, the first official lobbyist of Georgia in the United States Walter Marion Chandler, to the head of the Georgian delegation at the Paris Peace Conference, Nikoloz Chkheidze, about the need for the Georgian delegation to go to the U.S. and to agitate on the issue of Georgia, because Americans knew little about their situation.

*October 18, 1919. New York.*



House of Representatives U. S.
Washington, D. C.

February 2, 1920.

My dear Senator:

I am enclosing herewith Part 4 - Hearings before the Committee on Ways and Means of the House, in the matter of the $150,000,000 loan for food relief of European populations, requested by Secretary Glass and recommended by Mr. Hoover and others.

If you have time and inclination to read the statement made by me before the Committee, and will do so, I shall feel greatly obliged. Furthermore, if you will lend your assistance in the matter of securing the authorization of this loan by Congress, you will not only help greatly to relieve suffering humanity in Europe but will aid materially to prevent the spread of Bolshevism throughout the world.

It is needless to say, in closing, that any influence you may exert in the way of securing the recognition by our Government of the independence of the newly created, non-Russian Republics of Esthonia, Latvia, Lithuania, Azerbaidjan, and Georgia, that I have the honor to represent, will be gratefully appreciated and long remembered by the peoples of these little nations, who are now fighting, and for two long years have been fighting bravely the Bolsheviki, not only for the establishment of their independence but for the preservation as well of law and order and civilization upon the earth.

I shall be glad to hear from you if you care to write me concerning the matters herein mentioned.

It will afford me pleasure also to furnish you with additional literature relating to the Geography, History, Economic resources, etc., of the countries mentioned.

With kind regards and best wishes, I am,

Faithfully yours,

Address:
Southern Building,
Suite 816-17-18,
